ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1835604

ნომერი: AR1297287

თარიღი : 30.03.2015

გაცემის თარიღი : 22.04.2015

გაცნობის თარიღი : 29.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , (ნაკვეთი 02/068) / ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა , ნაკვეთი 02/096 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოშრევან ნამორაძე პ/ნ 01018000728
- ჯავახიშვილის 22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015

წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 30 მარტს #AR1297287 განცხადებით მომართა შპს „კრწანისი ვილა რეზიდენს“–ის წარმომადგენელმა ნოშრევან ნამორაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2015 წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი–კრწანისი, დასახლება ოქროყანა, ნაკვეთი 02/068/ ქ. თბილისი, დასახლება ოქროყანა, ნაკვეთი 02/096, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.18.01.002.105) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობების ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში, ამასთან განმცხადებლის მიერ მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გარდა ასევე არასწორადაა დაფიწსირებული საერთო ფართობის მაჩვენებელიც, რაც ასევე საჭიროებს შესწორებას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად განმცხადებლის მოთხოვნა ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით არის საფუძვლიანი და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–6 თავის, 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „კრწანისი ვილა რეზიდენს“–ის წარმომადგენლის ნოშრევან ნამორაძის 2015 წლის 30 მარტის #AR1297287 განცხადება;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანებაში, კერძოდ საერთო ფართობად დაფიქსირდეს – 1899.9 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 975,9 კვ.მ, საზაფხულო ფართობად – 420,6 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად – 78,1 კვ.მ.;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 9 თებერვლის №1724116 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.